აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2020 წელს განხორციელებული საქმიანობის ა ნ გ ა რ ი შ ი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის ბიუჯეტი

2020 წელს დამტკიცებული გეგმით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი
*შეადგენდა **15 257 514 ლარს**,*
*დაზუსტებული ბიუჯეტი - **15 420 776** ლარს*
*ბიუჯეტის შესრულება - **14 861 211 ლარი, 96%***

სამინისტროს ცენტრალური აპარატი -
გეგმა - 5 033 260 ლარი;
შესრულება - **4 777 779** ლარი;

ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი -
გეგმა - 5 250 306 ლარი;
შესრულება- **5 144 478** ლარი;

გარემოს დაცვისა და ბუნ. რესურსების სამმართველო -
გეგმა -**4 808 490** ლარი;
შესრულება - **4 630 975** ლარი;

სსიპ ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი -
328 720 ლარი;
შესრულება - **307 709** ლარი;



დამტკიცებული საგანგებო ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების ძირითადი მიმართულებები

ზრუნვა სოფლის მეურნეობაზე

- სოფლის მეურნეობის ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა
- სასოფლო-სამეურნეო სათესი ფართობების დახვნა
  1438 ჰა მიწის ფართობზე
- მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების განაშენიანება და ერთწლიანი კულტურების წარმოება
- მაღალმთიან აჭარაში სანერგე/საჩითილე მეურნეობების განვითარება

საგანგებო ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები

- სამინისტროს პროგრამის ფარგლებში რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში ფერმერთა საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები უფასოდ დამუშავდა, რომლის რაოდენობამ ჯამში შეადგინა 1438 ჰა მიწის სავარგული. განხორციელდა, როგორც მიწის მძიმე ტექნიკის გამოყენებით დამუშავება, ასევე მიწის გაფხვიერება;
- სამინისტროს პროგრამის ,,მაღალმთიან აჭარაში სანერგე საჩითილე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობის'' ფარგლებში, შუახევის საჩითილე მეურნეობაში წარმოებული ბოსტნეული ჩითილები უფასოდ გაიცა ადგილობრივ ფერმერებზე. წარმოებული ჩითილების რაოდენობამ შეადგინა 1 მილიონამდე ცალი;
- რეგიონის სასურსათო უსაფრთხოების ფარგლებში ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის - გვარას სასათბურე მეურნეობაში განხორციელდა ბოსტნეული კულტურების წარმოება (კიტრი, პომიდორი, ბადრიჯანი, ტკბილი წიწაკა, ყაბაყი და სხვა).

2018-2020 წლებში მძიმე ტექნიკით დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები

N	მუნიციპალიტეტი	სულ სახნავი ფართობი (ჰა)	2018 წელს დახნული ფართობები (ჰა)	2019 წელს დახნული ფართობები (ჰა)	2020 წლის გაზაფხულზე დახნული სავარგულები (ჰა)
1	ქობულეთი	**2 201**	180.0	212	**875**
2	ხელვაჩაური	**1 128**	87.0	120	**170**
3	ქედა	**2 054**	45.0	68	**124**
4	შუახევი	**1 643**	12.0	22	**54**
5	ხულო	**2 424**	47.0	56	**147**
6	ქ.ბათუმი	**60**	0.0	0	**25**
სულ აჭარის ა/რ:		**9 510**	**371**	**478**	**1 395**

საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები

- სასურსათო ფასების კვლევა - რეგიონის 19 სასურსათო მსხვილ სუპერმარკეტებში პირველადი მოთხოვნის სასურსათო პროდუქციის (პურის ფქვილი, შაქარი, წიწიბურა, ზეთი, ბრინჯი, კვერცხი და სხვა ფასების კვლევა დ მონიტორინგი;

- აჭარის რეგიონში არსებული სასურსათო პროდუქციის მარაგების შესახებ ინფორმაციის მოკვლევა/დამუშავება - საწყობებსა და სამაცივრე მეურნეობებში არსებული მარაგების აღწერა, ყოველდღიური ინფორმაციის მიღება სარფის გამშვები პუნქტიდან იმპორტირებული პროდუქციის სახეობებისა და რაოდენობის შესახებ;

- სამინისტროს ცხელი ხაზი - დღეის მდგომარეობით ცხელ ხაზზე დაინტერესებული პირების კონსულტაციები გრძელდება, მთლიანობაში საანგარიშო პერიოდში კონსულტაცია გაეწია 1000 ზე მეტ დაინტერსებულ პირს;

- რეგიონის აგრარული ბაზრების მონიტორინგი - რეგიონის უმსხვილეს ხილ-ბოსტნეულის საცალო ბაზრობაზე როგორც სამინისტროს, ასევე სურსათის უვნებლობისა და მერიის ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტებთან ერთად ხორციელდებოდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გაცემული რეკომენდაციების დანერგვა;

- სატრანსპორტო საშუალებების უზრუნველყოფის ხელშეწყობა სპეციალიზირებული საშვებით - საქართველოს გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებულ სპეციალურ ფორმაში ხდებოდა სატრანსპორტო საშუალებებით მოსარგებლე პირების, კერძოდ სასურსათო პროდუქციის და სხვა აქტუალური მიმართულებით დაკავებული პირების მონაცემთა ბაზაში შეყვანა და ოპერატიულად მიწოდება, რომლის ფარგლებშიც საგანგებო მდგომარეობის დროს ისარგებლა 1200 ზე მეტმა პირმა;

სასურსათო პროდუქციით უზრუნველყოფის ხელშეწყობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკარანტინო სოფლებში

- პანდემიის ფარგლებში საგანგებო სიტუაცია გამოცხადდა და ჩაკეტილი იქნა ქობულეთის მუნიციპალიტეტის 4 სოფელი: ლეღვა, გვარა, მუხაესტატე და წყავროკა.

- აღნიშნულთან დაკავშირებით, სამინისტროს ორგანიზებით განხორციელდა სატვირთო ავტომობილებით დატვირთული პროდუქტების შეტანა აღნიშნულ ლოკაციებში, რათა აღმოფხვრილიყო, როგორც სასურსათო პროდუქციის, ასევე მედიკამენტების და ჰიგიენური საშუალებების დეფიციტი.

„აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამა“

პროგრამის მიზანი - პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდა, სასურსათო უზრუნველყოფის გაუმჯობესება

რეგიონი	მუნიციპალიტეტი	საბოლოო პროდუქტი (სულ ჯამი)		
		ბენეფიციართა რ-ბა	ტალონი	ლიტრი
		2,868.00	10,186.00	245,310.00
აჭარა	ქობულეთი	1,272.00	5,068.00	123,420.00
	ბათუმი / ხელვაჩაური	799.00	2,473.00	60,940.00
	ქედა	438.00	1,423.00	32,380.00
	შუახევი	81.00	251.00	5,930.00
	ხულო	278.00	971.00	22,640.00

ციტრუსის სეზონი 2020-2021 წწ

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა **39,249** ათასი ტონა მანდარინის ექსპორტი, რომლის ღირებულებამ 19,048 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

- აღნიშნულ პერიოდში განხორციელებული მანდარინის ექსპორტის მოცულობა 7.0 ათასი ტონით (23%), ხოლო ექსპორტის ღირებულება 2.7 მლნ აშშ დოლარით (17%) აღემატება 2019/2020 წწ ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებს.

- 2020 წელს წარმოებული მანდარინის ექსპორტი ძირითადად განხორციელდა:
  რუსეთის ფედერაციაში (22.553 ათასი ტონა);
  სომხეთში (8.868 ათასი ტონა);
  უკრაინაში (5.343 ათასი ტონა);
  მოლდოვაში (1,050 ათასი ტონა).

- აღნიშნული ქვეყნების გარდა, ექსპორტი განხორციელდა აგრეთვე თურქმენეთში, ბელორუსიაში, ყაზახეთში, ლიეტუვაში, სლოვენიაში, ტაჯიკეთში, ყირგიზეთში, აზერბაიჯანში, აშშ-სა და გერმანიაში;

- გადამამუშავებელი კომპანიის მიერ ფიზიკური პირიდან ყოველ არანაკლებ 0,20 ლარად შესყიდულ არასტანდარტულ მანდარინზე გაიცა სუბსიდია 1 კგ-ზე 0,10 ლარის ოდენობით. სამრეწველო მანდარინის სუბსიდირების ფარგლებში განხორციელდა 10 718,7 ტონა არასტანდარტული მანდარინის სუბსიდირება

სამინისტროს მიერ 2020 წელს განხორციელებული ქვეპროგრამები

- მაღალეფექტური მრავალწლიანი სას-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა;
- სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- მცირე გადამამუშავებელი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა;
- აგრარული ექსტენციის მიწოდება;
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვა;
- სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია

აგრარული ექსტენციის მიწოდება

ქვეპროგრამის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი იქნა მაღალკვალიფიციური აგრარული დარგის 8 სპეციალისტი 10 თვის ვად
სპეციალისტების მიერ მემცენარეობაში და მეცხოველეობაში ექსტენციის ფაზების მიხედვით აჭარის მუნიციპალიტეტში ექსტენციის მიწოდება
მიმდინარეობდა, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელებასთან დაკავშირებით ინტერნეტ ესქტენციის სახით.
2020 წელს ექსტენციაში ჩართული იყო 3450 ფერმერი და აგრომეწარმე.

საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვა

ქვეპროგრამის ფარგლებში 15 მეცნიერ-მკვლევართან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად სოფლის მეურნეობის მაპროფილებელ დარგებში არსებულ პრობლემებზე მიმდინარეობდა ყოველთვიური ანგარიშების წარმოდგენა, რომელიც ორიენტირებულია აღნიშნული დარგების პრობლემატიკის შესწავლაზე და მათი შემდგომი განვითარებისათვის საჭირო მეცნიერული რეკომენდაციების დანერგვაზე.

2020 წლის ბოლოს ქვეპროგრამის მიხედვით, 7 მიმართულებით წარმოდგენილ იქნა სამეცნიერო-პრაქტიკული რეკომენდაციები და საბოლოო/შემაჯამებელი ანგარიში.

მაღალეფექტური მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის ფარგლებში - **554** ბენეფიციარს, **46.35 ჰა** ფართობზე გაუშენდათ შემდეგი მრავალწლიანი კულტურები:

მოცვი - 15.0 ჰა
კაკალი - 25.0 ჰა
ჟოლო - 1.0 ჰა
ვაზი - 2.40 ჰა
კივი- 0.15 ჰა
ლიმონი - 2.80 ჰა

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის ფარგლებში - **1001** ბენეფიციარს გადაეცა:

1001 ბაღის მობილური შემასხურებელი აპარატი.



მცირე გადამამუშავებელი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა

ფარგლებში - **280** ბენეფიციარს გადაეცა:
50 ავტოკლავ-სტერელიზატორი,
230 რძის გადამამუშავებელი სეპარატორი.

სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში - რეაბილიტირებული იქნა :
11 სარწყავი არხი, 27.246 გრძივ კილომეტრზე, რაც საშუალოდ მოემსახურება - **678 ჰა** სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობს

ა(აიპ) აგროსერვის ცენტრის მიერ გაწეული ღონისძიებები

„ჩაქვისა და გვარა ხუცუბნის სანერგე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა"- ბიუჯეტი 827 120 ლარი.

სანერგე მეურნეობებში წარმოებული იქნა ციტრუსის, ვაზის, ხეხილოვანი და კენკროვანი კულტურების ნერგები. კერძოდ;

- ❖ ციტრუსის 2000 ცალი ახალი ნამყენი, ციტრუსის 16000 ცალი ერთწლიანი და 14000 ცალი ორწლიანი ნერგი;
- ❖ ხეხილის 3000 ცალი ახალი ნამყენი, ხეხილის 3600 ცალი ერთწლიანი და 1500 ცალი ორწლიანი ნერგი;
- ❖ კაკლის 4000 ცალი საძირე;
- ❖ ჟოლოს 1500 ცალი ნერგი;
- ❖ ვაზის 28800 ცალი ნერგი;
- ❖ მიღებულია ციტრუსის 6200 კგ მოსავალი
- ❖ მიღებულია 11500 კგ ყურძნის მოსავალი

„ბოსტნეული კულტურების წარმოების ხელშეწყობა"- ბიუჯეტი 324215 ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში წარმოებულია 174 300 კილოგრამი შემდეგი ბოსტნეული:

- ❖ კიტრი, პომიდორი, ბულგარული,
- ❖ ბადრიჯანი, სალათის ფურცელი, ყაბაყი და მწვანილი;
- ❖ ბოსტნეული უსასყიდლო გადაეცა რეგიონის მოსახლეობას

,,მაღალმთიან აჭარაში სანერგე, საჩითილე მეურნეობების და ვეტერინარული კლინიკის განვითარების ხელშეწყობა“- ბიუჯეტი 538 109 ლარი.

- ქედის მუნიციპალიტეტში აშენდა ვეტერინარული კლინიკა, რომელშიც საბიუჯეტო დაფინანსების გარდა მონაწილეობა მიიღო დონორმა ორგანიზაციამ **CENN (დაფინანსება 44 000 ლარი);**
- მაღალმთიან აჭარაში თანამედროვე ტექნოლოგიებით მოეწყო სადემონსტრაციო ვაზისა და ხეხილის სანერგე და საჩითილე მეურნეობა, სადაც წარმოებული იქნა 2 033 692 ჩითილი;
- წარმოებული ჩითილებიდან 47850 ცალი დაირგო აგროსერვის ცენტრის სასათბურე მეურნეობაში, ნაწილი 870 772 ცალი კი გაიყიდა და შემოსავლის სახით მიღებული იქნა **146 264 ლარი;**

,,მსხვილფეხა პირუტყვის ჯიშგანახლების ხელშეწყობა“ - ბიუჯეტი 151 200 ლარი.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია 2600 ხელოვნური განაყოფიერების მომსახურება.

,,ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე ხორცისა და ხორც-პროდუქტების წარმოების ხელშეწყობა“ - ბიუჯეტი 60 000 ლარი

- განხორციელდა ფერმერის საკუთრებაში არსებული მსვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაკვლის 80 პროცენტიან სუბსიდირება ლიცენზირებულ სასაკლაოზე;
- დაკლული პირუტყვი ხორცის რაოდენობამ შეადგინა 154442,1 კგ.

„სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა“ -ბიუჯეტი 1 134 648 ლარი.

პროგრამის ფარგლებში დაფინასებულია 18 პროექტი. კერძოდ:

8 - ბენეფიციარი ღვინის წარმოება;

1 - ბენეფიციარი არყის წარმოება;

1 - ბენეფიციარი ჩირის წარმოება;

1 - ბენეფიციარი კბილის ჩხირების წარმოება;

2 - ბენეფიციარი სამაცივრე მეურნეობა;

1 - ბენეფიციარი ჯემისა და ტყემლის წარმოება;

1 - ბენეფიციარი თევზის საკვების წარმოება;

2 - ბენეფიციარი ხის საამქროს ფუნქციონირება;

1 - ბენეფიციარი ქათმის ფერმის ფუნქციონირება;

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო

პროგრამის დასახელება: გარემოსდაცვითი პროგრამა

ქვეპროგრამის დასახელება: ატმოსფერული ჰაერის, ჩამდინარე და ზედაპირული წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი

ბიუჯეტი: 20 200 ლარი;

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა: განხორციელდა ატმოსფერული ჰაერისა, ჩამდინარე და ზედაპირული წყლების მდგომარეობის მონიტორინგი: ჩატარებული იქნა 132 ატმოსფერული ჰაერის სინჯის ანალიზი, 105 ჩამდინარე და 105 ზედაპირული წყლის სინჯის ანალიზი. ჩამდინარე წყალში (6 ფაქტი) და ატმოსფერულ ჰაერში (2 ფაქტი) მავნე ნივთიერებათა ჩაშვების/გაფრქვევის გადამეტებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია კანონმდებლობის შესაბამისად გადაგზავნილია შესაბამის ორგანოში.



ქვეპროგრამის დასახელება: აჭარის სანაპირო ზოლის ზღვის წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი

ბიუჯეტი: 34 400 ლარი;

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა: განხორციელდა 120 ზღვის წყლის სინჯის ანალიზის გამოკვლევა. ზღვის წყლის ხარისხის მდგომარეობის გაუარესების ფაქტები არ დაფიქსირებულა.

პროგრამის დასახელება: ტყის დაცვა და მოვლა

ქვეპროგრამის დასახელება: დეგრადირებული ტყეების აღდგენა-განახლება და ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლა

ბიუჯეტი: 105 050 ლარი

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა: ქვეპროგრამის ფარგლებში შეძენილი იქნა 1500 ცალი მწერსაჭერი ხაფანგი, 1500 ცალი საყრდენი და 3100 ცალი ფერომონი. ახალი კორონავირუსის მასობრივი გავრცელებით ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, 2020 წელს შეძენილი ფერომონების, მწერსაჭერებისა და საყრდენების განთავსება და მონიტორინგი განხორციელდება 2021 წელს.

ქვეპროგრამის დასახელება: სანიტარული ჭრა

ბიუჯეტი: 360 000 ლარი

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა: ქვეპროგრამის ფარგლებში დაავადებულ ტყის უბნებში განხორციელდა 4 000 კბ.მ. ოდენობის სანიტარული ჭრები.

პროგრამის დასახელება: ორგანიზაციული მართვა და ინფრასტრუქტურული პროექტები

ქვეპროგრამის დასახელება: სატყეო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის გამართვა

ბიუჯეტი: 706 250 ლარი

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა 33 850 მ. სატყეო-სამეურნეო დანიშნულების ახალი გზის მშენებლობა და რეაბილიტირებული იქნა 223 170 მ. არსებული დაზიანებული გზა.

სსიპ ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი

პროგრამის - "ლაბორატორიული კვლევითი მომსახურების" ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- 11567 ნიმუშის/სინჯის ლაბორატორიული კვლევა, გაიცა გამოცდის ოქმი და სათანადო რეკომენდაციები;
- ფერმერებისა და მიზნობრივი ჯგუფებისათვის მოქნილი სერვისის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით ამოქმედდა ექსტენციის მობილური ლაბორატორია, რომელიც ფერმერებს ლაბორატორიულ მომსახურებას უწევს ადგილზე სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებში, აჭარის ა/რ ყველა მუნიციპალიტეტში, მიმდინარე პერიოდში ჩატარებულია 349 ანალიზი;
- საგამოცდო ლაბორატორიის პეციალისტებმა მონაწილეობა მიიღეს ამერიკის შეერთებული შტატების, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტში - ლაბორატორიული ტრენინგი სურსათის უვნებლობის საკითხებში ,,ვეტერინარული წამლის ნარჩენები რძეში და რძის პროდუქტებში“. ასევე ონლაინ რეჟიმში მონაწილეობა მიიღო Thermo Fisher Scientific-ის მიერ ორგანიზებულ ონლაინ სწავლებებში;
- საგამოცდო ლაბორატორიის პერსონალის მიერ ჩატარებული იქნა კვალიფიკაციის ასამაღლებელი შიდა ტრენინგები;
- იდენტიფიცირებული იქნა ხარისხის მენეჯმენტის სისტემის და საგამოცდო ლაბორატორიის საქმიანობის რისკები სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018-ის შესაბამისად და დადგენილი იქნა მათ აღმოფხვრასთან დაკავშირებული ქმედებები;
- გამოცდის შედეგების ვალიდურობის უზრუნველყოფის მიზნით დაკალიბრებული იქნა ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის საგამოცდო ლაბორატორიაში არსებული მზომი ხელსაწყოები;
- აკრედიტაციის ცენტრის ტექნიკური შემფასებლების მიერ ჩატარებული იქნა გეგმიური მონიტორინგი სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018 - ,,საერთო მოთხოვნები საგამოცდო და საკალიბრებელი ლაბორატორიების კომპეტენტურობისადმი" შესაბამისად. გაფართოვდა ლაბორატორიის საქმიანობისა და აკრედიტაციის სფერო;
- საგამოცდო ლაბორატორიამ წარმატებით მიიღო მონაწილეობა FAPAS-ის მიერ ორგანიზებულ საკვალიფიკაციო ტესტირების 5 რაუნდში;
- ლაბორატორიული კვლევის შედეგები შეფასებული იქნა დადებითად, რის საფუძველზეც ცენტრს გადაეცა კომპეტენტურობის დამადასტურებელი სერტიფიკატები; ლაბორატორიათშორისი შედარებითი გამოცდა ჩატარდა შპს ,,ბათუმის წყალთან“ სასმელ წყალში საერთო კოლიფორმული ბაქტერიების, E. coli, Enterococci-ს განსაზღვრის მიზნით.

გმადლობთ ყურადღებისთვის!